მომხს: დ. ქსოვრელიშვილი

<u>**პროექტი**</u>

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

„-----“ ნოემბერი 2019 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის №19 განკარგულებაში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის №19 განკარგულებაში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“.

1. განკარგულებით დამტკიცებული დანართი „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები“ ჩამოყალიბდეს თანდართული ფორმით.

მუხლი 2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

საკრებულოს თავმჯდომარე **არჩილი თხლაშიძე**

ქ. თელავი 12.11.2019 წ.

განმარტებითი ბარათი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის №19 განკარგულებაში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებული პროექტი ეხება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელ პროექტებში ცვლილების შეტანის საკითხს.

ცვლილების შეტანის აუცილებლობა გამოწვეულია თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 აგვისტოს N60 განკარგულების „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის №19 განკარგულებაში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ დანართში არსებული ტექნიკური ხასიათის ხარვეზით, რომელიც საჭიროებს გასწორებას.

კერძოდ, სოფ წინანდალში გათვალისწინებული იყო მინი სტადიონის აღდგენა, რომლის პროექტის შესყიდვაზე დაიხარჯა 450 ლარი. განსახორციელებელი პროექტის ღირებულებამ ხარჯთაღრიცხვის თანახმად შეადგინა 75 000 ლარი, რაც მნიშვნელოვნად აღემატებოდა განკარგულებით გათვალისწინებულ თანხას - 30 000 ლარს. სოფ წინანდალში მინი სტადიონის აღდგენის პროექტის შესყიდვა განხორციელდა ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსების თანხით, რომელიც მოცემულ შემთხვევაში შეადგენდა 10 000 ლარს. შესაბამისად, აუცილებლობას წარმოადგენს, რომ განკარგულების დანართში დაფიქსირდეს ის თანხა, რომელიც თელავის მუნიციპალიტეტის მიერ დაიხარჯა მინი სტადიონის აღდგენის პროექტის შესყიდვაზე (450 ლარი) და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ვეღარ განხორციელდება მისი მაღალბიუჯეტურობის გამო. აღნიშნულ პროექტზე გამოყოფილი თანხით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სოფ. წინანდალში განხორციელდება მოსახლეობის მიერ შერჩეული რიგით II პრიორიტეტი - N1 საბავშვო ბაღის სახურავის რეაბილიტაცია და მისი სავარაუდო ღირებულება შეადგენს 29 550 ლარს.

აგრეთვე, ცვლილების პროექტი ითვალისწინებს ყველა შესყიდული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ღირებულების ფაქტის შესაბამისად დაზუსტებას.